

**FACIO UT FACIAS!**  
გაპეთებ, რომ უძცე გააკეთო!

კონფლიქტის

# კონფლიქტის

AN ALTERNATIVE TO CONFLICT

№ 2

ნოემბერი

1998 წლი



**ICCN**

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების  
საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

კონფლიქტების მოგვარების სწავლების პროგრამა საქართველოში

ყოველთვიური გამოცემა

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN) - არასამთავრობო კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაცია - რეგისტრირებულია 1994 წელს საქართველოში. ცენტრი დაარსდა ჯონ და ქეთრინ მაკარტურების ფონდის მიერ გაცემული გრანტით. ცენტრის კვლევის ობიექტია კონფლიქტების მიზებების, მათი ადრეული გამოვლენის, კონსტრუქციული მართვისა და მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის შესაძლებლობათა შესწავლა. საქართველოში კონფლიქტების მოგვარების სწავლების პროგრამა ICCN-ის პროგრამაა.

ცენტრის დირექტორი: პროფესორი გიორგი ხუციშვილი.

1996-1997 წლებში საქართველოში კონფლიქტების მოგვარების სწავლების პროგრამის ფარგლებში ქვეყნდებოდა ყოველთვიური ბიულეტენი “ალტერნატივა”, ხოლო ბიულეტენში გამოქვეყნებული რჩეული მასალები და სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა ინგლისურ ენაზე ცალკე კრებულად გამოიცა, სახელწოდებით - **“Understanding Conflict”** 1998 წლიდან ბიულეტენის გამოცემა განახლდა ახალი სახელწოდებით “კონფლიქტის ალტერნატივა”. ახალი ბიულეტენი განაგრძობს რა ტრადიციას მიაწოდოს მკითხველს ალტერნატიული აზრი, ასევე შეეცდება წარმოაჩინოს საზოგადოების დადგებითი თუ უარყოფითი რეაქცია ნებისმიერი ალტერნატივის მიმართ.

**გამოცემა ფინანსდება ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს გრანტით**

**რედაქტორი: დეა ლადუა**

მისამართი:

ივ. მაჩაბლის 5,1 სართული  
თბილისი 380007, საქართველო

საფოსტო მისამართი:

საფოსტო ყუთი 38  
თბილისი 380079, საქართველო

ტელეფონი: 99-99-87, 93-91-78

ფაქსი: 93-91-78

**E-mail: confpro@access.sanet.ge**

**Homepage:**

<http://iccn.tripod.com>

© 1998 by ICCN. All rights reserved

## შ 0 ნ ა პ ს 0 :

სახალისო კონფლიქტოლოგია ..... გვ. 3

შემოქმედებითი მიღებობა:

პრობლემები, ან ანალი შესაძლებლობები ..... გვ. 5

კონფლიქტის ალტერნატივის ძიებაში, ანუ ყოველი ახალი კარგად დაგიწყებული ძველია ..... გვ. 7

საკუთარი დირსების გრძნობა ..... გვ. 8

უშიშროება: გმირი თუ ფსიქოპათი? ..... გვ. 9

ბაპტი — ადამიანი-იდეა ..... გვ. 12

შესამც ნეიტრალური მხარის მონაწილეობა  
კონფლიქტების მოგვარების პროცესში ..... გვ. 15

პროგრამის ქრონიკა ..... გვ. 16

ადამიანური ურთიერთობების მოქლე კურსი ..... გვ. 18

## სახალისო კონფლიქტოლოგია

გაგა ნიუარაძე

კონფლიქტის თეორიას არა აქვს ხანგრძლივი ისტორია, მაგრამ ცნებებისა და ტერმინების საკმაოდ სოლიდური არსენალი უკვე დაუგროვდა. გთავაზობთ კონფლიქტების თეორიის რამდენიმე ძირითადი ცნების მოკლე, ზოგჯერ არცოუ მკაცრ განსაზღვრებას და სახალისო ამბებს მათ საილუსტრაციოდ.

ჩვენი ბიულეტენი უკვე წერდა კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის განსხვავებული სტრატეგიის შესახებ. კონკურენცია - მხოლოდ მე, მხოლოდ ჩემი საქმე გაკეთდეს და ვაი დამარცხებულებს! კომპრომისი - მე ამას დავთმობ, შენ იმას, შევთანხმდით? არიდება - დამანებეთ თავი, კისერი გიტეხიათ! შეგუება - რაც არის, ეგარის, შეჩვეული ჭირი მირჩევია... თანამშრომლობა - ჩვენც კარგად ვიყოთ და საქმეც ერთად ვაკეთოთ.

\* \* \*

მეცნიერებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს - უკაცრიელ კუნძულებზე მოათავსეს სხვადასხვა ეროვნების ორ-ორი კაცი და თითო ქალი, ერთი წლის შემდეგ კი მიაკითხეს და ასეთი სურათი დახვდათ:

ესპანელმა კაცებმა კონკურენციას მიმართეს, რის შედეგადაც კუნძულზე იპოვეს ორი საფლავის ბორცვი და მათ შუაში მწარედ მოქვითინე ქალი.

ინგლისელებმა თავი აარიდეს კონფლიქტს. მათ კუნძულზე ხუთი სოლიდური სახლი იყო აგებული, მათგან სამი - საცხოვრებელი, ორი კი კლუბი, - თითო კაცს თითო. როგორც გაირკვა, ბრიტანელებს მთელი წლის განმავლობაში ერთი სიტყვაც კი არ გადაულაპარაკებიათ ერთმანეთისათვის. რატომ? უბრალო მიზეზის გამო - ისინი ერთმანეთს არ წარუდგინეს.

ფრანგებმა გამოიყენეს სტრატეგია, რომელშიც არის როგორც თანამშრომლობის, ისე კომპრომისის ელემენტები: ააშენეს მყუდრო სახლი, რომელზედაც განრიგი იყო გამოკრული:

ორშაბათი - უანი ქმარია, უაკი - საყვარელი. სამშაბათი - უაკი ქმარია, უანი - საყვარელი...

კონფლიქტთან შეგუების მაგალითი ექსპერიმენტატორებმა რუსებთან ნახეს. კუნძულზე დახვდათ პატარა ხუსულა წარწერით „საერთო საცხოვრებელი“ და მეორე, უფრო მოზრდილი, რომელსაც ეწერა: „სხდომათა დარბაზი“. რუსმა მანდილოსანმა ჩამოსულთ სევდიანად ამცნო: „კარგი ხალხია, მაგრამ... მთელი დამე ორგაა გვაქვს, დღისით კი მაკრიტიკებენ ამორალური საქციელისათვის...“

ყველაზე ორიგინალური გამოსავალი ებრაელებმა გამონახეს. თანამშრომლობის სტრატეგიით მათ გარღვევა განახორციელეს და სრულიად შეცვალეს თითქოსდა გამოუვალი სიტუაცია. კუნძულზე აღმოჩნდა ორი სახლი: ერთში ერთი წყვილი ცხოვრობდა, მეორეში კი... მეორე წყვილი. შეკითხვაზე, თუ საიდან გაჩნდა მეორე ქალი, გაოცებულმა სწავლულებმა ასეთი პასუხი მიიღეს: „ძალიან ძნელი იყო, მაგრამ მაინც ვიშოვნეთ!“

არ არსებობს სტრატეგია, რომელიც ყველა კონფლიქტური სიტუაციისათვის ერთნაირად ვარგოდეს. აი, არიდების სტრატეგიის წარუმატებული და წარუმატებელი გამოყენების მაგალითები:

მიმდინარეობს ეთიკის გაკვეთილი რუსულ სკოლაში. მასწავლებელი: ბავშვებო, აბარა მოგწონთ თქვენს მეგობარ სვეტაში? მიშა: ყოველთვის სიმართლეს ამბობს. კლავა: ჩამორჩენილებს ეხმარება. გრიშა: ტუჩები მომწონს... მასწავლებელი: გრცხვენოდეს! გადი კლასიდან! ვოვოჩკა, შენ რაღა მოგწონს? ვოვოჩკა: მივდივარ, მივდივარ...

ინგლისელი ლორდი გემიდან ზღვაში გადავარდა. მას ზვიგენი უახლოვდება. გემიდან უყვირიან: „სერ, თქვენ ხანჯალი გაქვთ, დაარტყით!“ „თევზი დანით დაჭრა? არასოდეს!“

საინტერესო კომპრომისის მიაღწიეს „ერთი პირის საწარმომ“ და მსხვილმა ბანკმა.

“ჩეიზ მანპეთნ ბანკის“ წინ ზის ებრაელი და წაბლს ყიდის. მასთან მიდის მეგობარი და თხოვს, 50 დოლარი მასესხეო. “სიამოვნებით, მაგრამ ბანკთან შეთანხმება მაქვს: ისინი არ ყიდიან წაბლს, მე არ ვიძლევი კრედიტს.“

კონკურენცია - კონფრონტაციის მაგალითი:

გამოდის ბრეუნევი საღამოთი აივანზე და ხედავს მთვარეზე წარწერაა: “მარლბორო“. შემდეგ საღამოს ამერიკის პრეზიდენტი ხედავს, “მარლბოროს“ დამატა ფრაზა: “დამზადებულია საბჭოთა კავშირში“. მესამე საღამოს კიდევ დამატება: “ფილიპ მორისის“ ლიცენზით“. და ბოლოს, მეოთხე საღამოს, ძველი წარწერები აღარაა, სამაგიეროდ, გაჩნდა ახალი: “სსრკ თავდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ: მოწევა მავნებელია!“

კონფლიქტში მყოფნი ძალიან ხშირად არ უსმენენ ერთმანეთს, ამახინჯებენ ოპონენტისაგან მომავალ ინფორმაციას (კომუნიკაციის დამახინჯება), რაც კონფლიქტის შემდგომ ესკალაციას, ზოგჯერ კი მასში მესამე პირის ჩათრევას იწვევს.

ქმარი: ცოტა ხმას დაუკელი... ცოლი: მაშასადამე, მე ვყვირი. მაშასადამე, ვყევ. ესე იგი ძალი ვარ. ესე იგი დედაჩემიც ძალია. დედა! შენმა სიძემ შენ ბებერი ქოფაკი გიწოდა!

კონფლიქტის ხშირი მიზეზია ერთი და იგივე მოვლენის, სიტუაციის სხვადასხვაგარი აღქმა თუ ინტერპრეტაცია სხვადასხვა მხარის მიერ. მე, შენ, იმას სხვადასხვა სუბიექტური რეალობა გვაქვს.

კუპეში სხედან ფრანგი, გერმანელი, გაურკვეველი ეროვნების ახალგაზრდა ქალიშვილი და დედამისი. მატარებელი შედის გვირაბში, წამით ბნელდება, უცებ გაისმის ჯერ კოცნის, შემდეგ კი სილის გაწნის ხმა. დედა ფიქრობს: ფრანგმა ჩემს ქალიშვილს აკოცა და საკადრისი პასუხიც მიიღო. ქალიშვილი: ეტყობა, ფრანგს ჩემი კოცნა უნდოდა, შეცდომით დედაჩემს აკოცა და სილაც დაიმსახურა. გერმანელი: ფრანგმა ქალიშვილს აკოცა, იმან კი შეცდომით მე გამარტყა. ფრანგი: ნეტავ სინათლე კიდევ ჩაქრეს, პაერს ვაკოცო და გერმანელს მეორე ყბაში მოვადო!

გამოყოფენ კონფლიქტის ხუთ განსხ-

ვავებულ ტიპს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ სუფთა სახით ესა თუ ის ტიპი ძალზე იშვიათია, ყოველი კონფლიქტური სიტუაცია რამდენიმე ტიპის ელემენტს შეიცავს. ამიტომ, არ დაგვძრახოთ თუ საილუსტრაციო მასალა ზედმიწევნით ზუსტი არ იქნება.

ინტერესების კონფლიქტი ჩნდება მაშინ, როცა შენ ერთი გინდა, მე კი მეორე, ანდა ორივეს ერთი და იგივე გვინდა (ვთქვათ, ორი კაცი ერთ ქალში ვართ შეყვარებული) მაგრამ დაკმაყოფილებული მხოლოდ ერთი შეიძლება დარჩეს. საილუსტრაციოდ მოვიყენ ოსტაპ ბენდერის გამონათქვამს:

“ბოლო წელიწადია, საბჭოთა ხელისუფლებასთან ძალიან სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა გამიჩნდა. მას უნდა სოციალიზმის აშენება, მე კი არ მინდა.“

ღირებულებათა კონფლიქტი აღმოცენდება, როდესაც მხარეებს განსხვავებულად ესმით, თუ რა არის კარგი და ცუდი, ლამაზი და მახინჯი და ა.შ.

პოლკოვნიკი მოხვდა ინტელექტუალთა საზოგადოებაში. უსმინა, უსმინა და ბოლოს უთხრა: “თუ ასეთი ჭკვიანები ხართ, მწყობრით რატომ არ დადიხართ?!“

სტრუქტურული კონფლიქტია ის, რომლის მიზეზი მონაწილეთა გარეთ ძევს და მათზე არაა დამოკიდებული. ეს შეიძლება იყოს ბუნების კანონი, უბედური შემთხვევა და კიდევ უამრავი სხვა რამ. გავიხსენოთ ფინალური დიალოგი პოპულარული კომედიიდან “ჯაზში მხოლოდ ქალიშვილებია“, უფრო სწორად, სულ ბოლო არგუმენტი: ქალად გადაცმული გმირი ცდილობს დაარწმუნოს მილიონერი, რომ ვერაფრით ვერ გაყვება ცოლად: “ძალიან ბევრს ვეწევი.“ “ეგ არაფერია.“ “საშინელი წარსული მაქვს.“ “მიპატიებია.“ “ბოლოსდაბოლოს, მე მამაკაცი ვარ!“ “ყველას აქვს რაღაც ნაკლი...“

ინფორმაციული კონფლიქტი გამოწვეულია ინფორმაციის დეფიციტით, მისი წინააღმდეგობრიობით, ან არასწორი ინტერპრეტაციით. თუმცა, არაა გამორიცხული, რომ ინფორმაციის დაზუსტებამ უფრო სერიოზული კონფლიქტი გამოიწვიოს...

გამოიგონეს კომპიუტერი, რომელმაც ყვე-

ლაფერი იცის. მოდის მყიდველი და, საქონლის შემოწმების მიზნით, ეკითხება კომპიუტერს: “სადაა ახლა მამაჩემი?“ ‘მამათქვენი ახლა ფლორიდაში ისვენებს“. მყიდველი კვდება სიცილით: “მამაჩემი ხუთი წლის წინ მოკვდა“. გამყიდველი ამბობს: “თქვენ არასწორად დასვით კითხვა“ და ახალი კითხვა შეჰქავს: “სადაა ახლა ამ კაცის დედის ქმარი?“ პასუხი ასეთია: “ამ კაცის დედის ქმარი ხუთი წელია რაც გარდაიცვალა, მამამისი კი ამჟამად ფლორიდაში ისვენებს“.”

ურთიერთდამოკიდებულებათა კონფლიქტი გაგქვს, როდესაც მხარეები, მარტივად რომ ვთქვათ,

ნერვებს უშლიან ერთმანეთს.

“ავდგები და თვალს ამოვითხრი, ჩემს სიდედრს რომ ცალთვალა სიძე ჰყავდეს...“

\* \* \*

დღეს ამას დავჯერდეთ. ისე კი კონფლიქტების თეორიაში ბევრი სხვა საინტერესო ცნებაცაა. ანგდოტების საგანმური კი, მოგეხსენებათ, ამოუწურავია. ასე რომ, იმედი გვაქვს, ამ თემას გავაგრძელებთ.

## შემოქმედებითი მიდგომა: პრობლემები, ან ახალი შესაძლებლობები

ჰ. კორნელიუსი, შ. ფეირი  
“მოგება ყველას შეუძლია”

კონფლიქტების მიმართ შემოქმედებითი მიდგომა გვეხმარება პრობლემები ახალ შესაძლებლობებად ვაქციოთ, რაც შექმნილი სიტუაციიდან მაქსიმალური სარგებლობის გამოტანას გულისხმობს.

გეცნობათ შემდეგი სიტუაციები?

- შექმნილი მდგომარეობა უიმედოდ გეჩვენებათ და თქვენ სასოწარკვეთილებას მიეცემთ.
- ხელსაყრელი გარიგება ჩაგეშალათ.
- თქვენმა საქციელმა ვიღაცა გაანაწყენა.
- თქვენ ახლახან საშინელი შეცდომა დაუშვით.

ფიქრობით, რომ ბოლოსდაბოლოს თქვენს რჩეულს შეხვდით და აღმოჩნდა, რომ ის თქვენი მომავალი უფროსის ცოლია.

ნაბიჯი 1: რეაქცია, ან შეგნებული გამოდახილი.

როდესაც მდგომარეობა კრიტიკულია, თქვენ, როგორც არასდროს, პრობლემის მიმართ შემოქმედებითი მიდგომა გესაჭიროებათ. რეაქციაში ჩვენ იმპულსურ ქმედებას (საქციელს) ვგულისხმობთ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გეჩვენებათ, რომ მას ვერ აკონტროლებთ ან სხვა გამოსავალს ვერ ხედავთ. თქვენი რეაქციის მიზეზს “ვინმეში” ან “რამეში” ხედავთ. შეგნებულ გამოძახილში ვგულისხმობთ მოფიქრებულ,

გააზრებულ საქციელს, სადაც მდგომარეობის ბატონ-პატრონად გრძნობთ თავს და თავშეკავებულობას ინარჩუნებთ.

როდესაც ჩვენს გარემოცვაში გაღიზიანებული ადამიანია, ან ადამიანი, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენს სურვილებს, შეგვიძლია შემდეგნაირი რეაგირება მოვახდინოთ:

- გამოვიყენოთ უკანდახევის ტაქტიკა.
- ჩაგატაროთ “მათოვის” აღმზრდელობითი გაპვეთილები.
- ჩვენც გავლიზიანდეთ.
- სამაგიეროს გადახდაზე დავიწყოთ ფიქრი. მეორე მხრივ, შეგვიძლია სიტუაციას შემოქმედებითად მივუძგეთ და გამოვიყენოთ მასში არსებული ყველა შესაძლებლობები. როგორ შეიძლება სიტუაციის სხვა მხრივ წარმართვა?

ამის მაგალითია შემდეგი:

“სასადილოში ჩემს ძველ ნაცნობს შევხვდი და დიდი შეცდომა დავუშვი, როცა ვკითხე როგორ არის საქმეები-მეთქი. თითქოს ამას ელოდა, მან გარემოს დაბინძურების შესახებ საკუთარი უახლესი ფილოსოფიის დეტალური გადმოცემა დაიწყო. ამან იმდენად გამაღიზიანა, რომ ადგომა და წასვლა მომინდა. “სულელი... მას ნამდვილად ნევროზი აქვს, როგორ შეიძლე-

ბა ამდენად მიუხვედრელი იყოს? ” მაგრამ მალე შევწყვიტე გუნებაში ბუზღუნი და გადავწყვიტე, რომ ჩემს წინაშე ნამდვილად კონფლიქტური სიტუაციაა. როგორ შემიძლია მას შემოქმედებითად მივუდგე? კარგი, დავუშვათ არ მომწონს მისი იდეები, მაგრამ საინტერესოა, როგორ წარმოუდგენია მას ეს სამყარო.

ნაცვლად იმისა, რომ კვლავ “სულელზე” და “ნევროზიანზე” მეფიქრა, რამდენიმე, ჩემთვის მართლაც საინტერესო შეკითხვა დავუსვი: “როგორ აპირებ იმოქმედო ამასთან დაკავშირებით? ამ საკითხში მისი იდეები საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. ვკითხე, აპირებდა თუ არა ქალაქის დატოვებას და ეკოლოგიურად უფრო სუფთა ადგილზე დასახლებას? დიახ, მას სურდა, მაგრამ ოჯახი კატეგორიული წინააღმდეგია, ეს იყო კონფლიქტისა და მისი სულიერი აფორიაქების ნამდვილი მიზეზი. ამგვარი საუბრის შემდეგ ის მოეშვა და, ვფიქრობ, კმაყოფილი იყო იმით, რომ ვიღაცამ მოუსმინა. მეც ვიგრძენი, რომ ჩემი მისდამი დამოკიდებულება უკეთესობისკენ შეიცვალა და, აგრეთვე, კმაყოფილი დავრჩი საკუთარი უნარით, ჩვენდა სასარგებლოდ შემეცვალა სიტუაცია.

ნაბიჯი 2: სიტუაციას შეხედეთ ისე, როგორიც არის.

ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სიტუაცია უნდა მოგეწონოთ. უბრალოდ, საჭიროა მიიღოთ ისეთად, როგორიც იგი მოცემულ მომენტშია. სიტუაციის გარკვევამ, შესაძლოა, დამღუპველად იმოქმედოს თქვენს მიუკერძოებლობაზე. თუ თქვენ ებრძვით რაიმეს და მუდმივად აკრიტიკებთ, სიტუაციას ობიექტურად ვერ აღიქვამთ. სიტუაციის აღექვატურ აღქმას, შესაძლოა, თან ახლდეს მსგავსი ფიქრები: “მდგომარეობა ასეთია. იქნებ სჯობს ვაღიარო ფაქტები და ვეცადო გამოსავალი ვიპოვო?”

პირველყოვლისა, შეეცადეთ დაინახოთ სიტუაცია ისე, როგორიც ის მოცემულ მომენტშია. აქედან დაწყებული, უფრო იოლია შეიცნოთ ახალი შესაძლებლობები. პრობლემის აღიარებიდან იწყება გზა მისი გადაწყვეტისა. თუკი ვინმე ცუდ გუნებაზეა, მისი გამოსწორების უსწრაფესი საშუალება ამ ფაქტის აღიარებაა.

ნაბიჯი 3: რა შეიძლება ვისწავლოთ არ-სებულ სიტუაციაში?

სანამ სამყაროს (და ჩვენ თავს) სრულყოფილების საზომის შეგუფარდებთ, ამგვარი აზრები დაგვებადება: “სწორად მოვიქეცი თუ არა?”; “მე არ გამომივიდა ისე, როგორიც საჭირო იყო”; “არ ღირს ცდა, ღმერთმა დაიფაროს და არ გამომივიდეს”;

რა რთულია ცხოვრება, როდესაც მას სრულყოფილების საზომის ვუყენებთ. საკითხისადმი მიდგომა ძირეულად უნდა შეცვალოთ. სიტუაცია დაინახეთ ისე, როგორიც ის მოცემულ შემთხვევაშია და მხოლოდ შემდგომ - ისე, როგორიც ის შეიძლება იყოს.

შეცადეთ, თქვენი ფიქრები და საკითხისადმი მიდგომა ამგვარად შეცვალოთ: “ის, რაც მათ გააკეთეს საკმაოდ საინტერესოა. რა შეიძლება ვისწავლო მე ამ მაგალითზე?”; “როგორ შემიძლია შედეგების გაუმჯობესება მომავალში?”; “კიდევ რა შემიძლია მოვიფიქრო იმისათვის, რომ ბავშვები დამეხმარონ საშინაო საქმეებში?”; და ცხოვრება იოლი გახდება!

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომა სულაც არ ნიშნავს არ-სებულ სირთულეებს თვალი აარიდო. მოიტყუო თავი, თითქოს ყველაფერი კარგადაა, როდესაც ასე არ არის, იგივეა, რაც დამპალი ვაშლის გადაღებვა. ამას არაფერი საერთო არა აქვს შემოქმედებით მიდგომასთან. თავის მოკატუნება, თითქოსდა დაშვებული შეცდომა არ მოითხოვს გამოსწორებას, სიკეთეს არ მოგვიტანს. შემოქმედებითი მიდგომისას ნებისმიერ პრობლემურ სიტუაციაში თქვენ აღიარებთ საკუთარ გრძნობებს და შემდგომ ფიქრობთ, თუ რა დასკვნა შეიძლება გამოიტანოთ.

როდესაც კონფლიქტური სიტუაცია გექმნებათ, შეიძლება იჩხუბოთ, იტიროთ, მაგრამ შემდგომ? მერე უნდა დაფიქრდეთ, გააანალიზოთ მდგომარეობა და კითხოთ საკუთარ თავს, თუ რა სარგებლობის გამოტანა შეგიძლიათ არსებული სიტუაციიდან. ამაში მდგომარეობს საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომა, რომელიც კვლავ სწორ გზაზე გაგიყვანთ.

# კონფლიქტის აღტერნატივის ძიებაში, ანუ ყოველივე ახალი კარგად დაგინებული ძველია

მანანა დარჯანია

ეთნიკური კონფლიქტის შემდგომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები, თუ კონფლიქტის შედეგად განდევნილი ხალხები, ადრე თუ გვიან, კვლავ ერთად ცხოვრების შესაძლებლობის პერსპექტივას აცნობიერებენ. მაგალითად, აფხაზები და ქართველები მიიჩნევენ, (თუმცა ჯერ ეს უმცირესობის აზრია) რომ მშვიდობიანი თანაცხოვრება შესაძლებელია კაცომოყვარეობის, სიკეთის გამომსატველი ტრადიციების და ადათ-წესების აღორძინებით. უმეტესობა კი ამ არგუმენტებს სკეპტიკურად უყურებს და მიიჩნევს, რომ დიდი მასშტაბის სისხლიანი კონფლიქტის და მისი უმძიმესი შედეგების შემდგომ აფხაზებსა და ქართველებს შორის კაცომოყვარეობის ტრადიციები საბოლოოდ შეიძლახა.

მნელია უარყო ერთი ან მეორე მოსაზრება, მითუმეტეს თუ გავიხსნებთ, რომ კავკასიაში ყოველთვის არსებობდა კონფლიქტური აზროვნება. აქ, თავდაცვითო ომების გარდა, ხშირი იყო შიდაომები, რომელთაც სხვადასხვა მიზანი ჰქონდა: დიდმალი ნადავლის მოპოვების, გავლენის სფეროს გაძლიერების, ტერიტორიების მიტაცების და სხვა. ყველა შემთხვევაში იღვრებოდა სისხლი, ნადგურდებოდა ტერიტორიები. მიუხედავად ყველაფრისა, კავკასიელი ხალხები გადამჩნენ. ყველამ შეინარჩუნა საკუთარი ენა, ტრადიცია, თვითმყოფადობა. რამ განაპირობა ეს, თუ არა კონფლიქტური აზროვნების საპირისპიროდ არსებულმა მშვიდობის მაღალმა კულტურამ, რომლის მიერ შექმნილი ტრადიციები ხალხის თვითგადარჩნის ინსტინქტს ემყარებოდა და კონფლიქტურ აზროვნებას კეთილი ზნეჩვეულებებით უპირისპირდებოდა. ასე შეიქმნა შემორიგების, ურთიერთდანდობისა და მართავიცობის, ქალის მანდილისა და სხვა ტრადიციები, რომლებიც ხალხებს შორის დავასა და შუღლს არეგულირებდნენ. ცხადია, ეს არ იყო მარტივი პროცესი. ამიტომაც იყო აუცილებელი, რომ დიდსა თუ პატარა ეთნოსს კარგად სცოდნოდა ერთურთის ფსიქოლოგია, ქცევის წესები ომში, ჭირსა თუ ლხინში. ასევე ცნობილი იყო რომელ ერს რა ეპითეტი ეამაყებოდა და რა შეურაცხყოფდა, ვინ რომელ კერპს, ღვთაებასა თუ ღმერთს სცემდა

თაყვანს. ასე რომ, კონფლიქტური აზროვნებით, პრიმიტიული აგრესით გვერდიგვერდ თანაცხოვრებას მშვიდობის კულტურით მუდმივი დაბალანსება ესაჭიროებოდა. სხვა ეთნოსის ინდივიდუალობის ცოდნა, ხალხებს ერთურთის ინტერესების პატივისცემას აიძულებდა და არა ერთურთის სიყვარულს.

ყველა ერების "მმობა-მეგობრობის და თანასწორობის" საბჭოურმა ყალბმა ლოზუნგებმა მშვიდობის კულტურის სახალხო ინსტიტუტს ფუნქცია გამოაცალა. შედეგად, კავკასიელ ხალხებს თვითგადარჩნის ინსტიქტიც დაუჩქრებდა. მაგრამ დღეს ხალხი კვლავ ისტორიულ მეხსიერებას უბრუნდება. კონფლიქტების ახალი ტალღის დაცხოვის შემდგომ, მშვიდობიანი თანაცხოვრების აღტერნატივის ძიების პროცესში ეთნიური ჯგუფები ქვეცნობიერად კვლავ ტრადიციებს იხსენებენ. შეჭირვებაში მყოფი კვლავაც თვითგადარჩნის ინსტიქტი კარნახობთ, რომ ურთიერთშემცუებლობასა და ურთიერთდანტერესებაზე აგებული მშვიდობის ტრადიცია არსებობის შენარჩუნების, კეთილდღლეობის უფრო გონიერი გზაა, ვიდრე ზემოდან თავსმოხვეული მშვიდობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ "ველური" კავკასია თავის წიაღმი ცალკეულ ადამიანებსა და ეთნიურ ჯგუფებს შორის ურთიერთობების დემოკრატიულ ელემენტებს ინახავს. დღევანდელობამაც ნათლად წარმოაჩინა, რომ კავკასიური მშვიდობის კულტურა არასოდეს არ ყოფილა აქცენტირებული ურთიერთსიყვარულის პროპაგანდაზე. მისი ძირითადი ფუნქცია ხალხებს შორის ინტერესების რეგულირება იყო. კონფლიქტის შემდგომ პერიოდში მყოფი დღევანდელი საზოგადოებაც სწორედ ასეთი ურთიერთობებისკენ ისწრაფვის და ტრადიციების აღორძინებაშიც ამ ფუნქციას ხედავს. წარსულისაგან დადებითი გამოცდილების აღება კი საზოგადოების განვითარების გზაა.

## საკუთარი ღირსების გრძნობა

მაია რაზმაძე

ყოველ ადამიანს გააჩნია საკუთარი ღირსების გრძნობა. ის ყოფის მთლიანობაა, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს დამოკიდებულებას გარემოს, ადამიანებისა და მოვლენების მიმართ. ყველაფერი, რასაც ადამიანი აკეთებს, აკეთებს იმისათვის, რათა საკუთარი ღირსების გრძნობა განამტკიცოს, დაიცვას ან გააუმჯობესოს. ღირსები ყალიბდება სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან და გარემოსთან ურთიერთობის შედეგად. ჩვენ მხოლოდ სხვებთან შედარების საფუძველზე შეგვიძლია შევაფასოთ საკუთარი ღირსები. როდესაც პირველად რაიმეს ვაკეთებთ, ჩვენ გვჭირდება ვინმეს შეფასება, რათა გავიგოთ, რამდენად კარგად ვართმევთ თავს ამ საქმეს. აქედან გამომდინარე, ადამიანი დამოკიდებულია გარემოზე და სხვების მიერ მისი საქმიანობის შეფასებაზე.

ადამიანებს შორის ეფექტური ურთიერთობა გულისხმობს ერთის მიერ მეორე პიროვნების ღირსების გრძნობის მიმართ ანგარიშის გაწევას. აგრეთვე, ეფექტური ურთიერთობებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ მოგვმართავს მეორე ადამიანი.

სხვების მიერ ჩვენი შეფასება შეიძლება იყოს გულწრფელი და არაგულწრფელი, მოწოდებულ იქნას ტაქტიანად ან უტაქტოდ, ერთი ხელმძღვანელი შეიძლება აქებდეს დადებითს და აკრიტიკებდეს უარყოფითს, მეორე მხოლოდ შეცდომებს ამჩნევდეს; ერთი მეგობარი გაგებით მოეკიდება ჩვენს დაგვიანებას, მეორე კი საყვედურებით აგვავსებს. ამ შეფასებებს ჩვენ ურთიერთობის პროცესში ვიღებთ და ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგ კითხვებზე:

- დადებითად არის პარტნიორი ჩემს მიმართ განწყობილი? თუ პასუხი დადებითია, ეს ჩვენს თვალში აამაღლებს საკუთარი ღირსების გრძნობას.

- ნეგატიურად არის პარტნიორი ჩემს მიმართ განწყობილი? დადებითი პასუხის შემთხვევაში ჩვენი ღირსების გრძნობა შელახულია.

გვსურს, თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ურთიერთობის ისეთ ფორმაზე, როდესაც არ

ილახება ჩვენი ან პარტნიორის ღირსების გრძნობა. ადამიანებს შორის ურთიერთობა ორ დონეზე მიმდინარეობს:

- შინაარსობრივ, ანუ ის, რაზეც ვსაუბრობთ.
- დამოკიდებულების, ანუ ის, თუ როგორ ვსაუბრობთ, როგორ ვაწვდით ინფორმაციას.

სასურველია, რომ ეფექტური ურთიერთობის დროს ორივე კომპონენტი იყოს გათვალისწინებული. ისმის კითხვა: რა კავშირშია ურთიერთობა საკუთარი ღირსების გრძნობასთან? იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი პარტნიორის ნათქვამში საკუთარი ღირსების მიმართ ნეიტრალურ ან დადებით დამოკიდებულებას ვერძნობთ, ჩვენი ყურადღება საუბრის შინაარსზე კონცენტრირდება; ხოლო პარტნიორის ნეგატიური დამოკიდებულების შემთხვევაში ჩვენ ყურადღება გადაგვაქვს დამოკიდებულებაზე და გვიჭირს შინაარსის აღქმა. როდესაც გაბრაზებული ვართ, გვიჭირს პარტნიორის ნათქვამის შინაარსის აღქმა, რომელსაც ჩვეულებრივ სიტუაციაში ადვილად გავიგებდით. გაბრაზებულ ადამიანს ღირსების გრძნობა შელახული აქვს და მას არ ძალუბს ეფექტური ურთიერთობის წარმართვა.

იმისათვის, რომ თვალსაჩინო გაგხადოთ, თუ რამდენად ვართ თითოეული ჩვენთაგანი დამოკიდებული გარშემომყოფთა რეაქციაზე, ექსპერიმენტის ჩატარება შეიძლება. მაგალითად, რამდენიმე ადამიანმა უთხარით თქვენს თანამშრომელს, რომ იგი დღეს ძალიან ცუდად გამოიყერება და დააკვირდით რეაქციას. დარწმუნდებით, რომ ეს მასზე უარყოფითად იმოქმედებს, რამეთუ მისი ღირსების გრძნობა შელახული იქნება.

მეორე ექსპერიმენტი. თხოვეთ ცდის პირს, დაასახელოს ათი ცხოველი და მათვის დამახასიათებელი ქცევა, მაგალითად: კატის კნავილი, ძაღლის ყევა და ა.შ. პირველ პასუხზე გამოხატეთ მოწონება, ყოველ შემდგომზე, კი - გაოცება, გაკვირვება, დაეჭვება და დააკვირდით ცდის პირის რეაქციას. ცდის პირი თანდათან დაიბნევა და საკუთარ სისწორეში ეჭვი შეეპარება. ამგვარი ექსპერიმენტი ნათლად აჩვენებს:

• ჩვენ გარშემომყოფთა პოზიტიურ რეაქციას ვიღებთ, როგორც სრულიად ნორმალურს, რაც წამახალისებლად მოქმედებს ჩვენზე.

• ჩვენ არ შეგვიძლია ყველაზე ადვილი დავალების შესრულებაც კი, როდესაც პარტნიორის მიერ გამოვლენილი მოსალოდნელი რეაქციის ნაცვლად ვიღებთ მოულოდნელ უარყოფით რეაქციას. ასეთ შემთხვევაში ჩვენ უფრო ნათლად ვხედავთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისათვის პოზიტიური შეფასება.

თუკი ცდის პირი არ რეაგირებს ზემოთ-ჩამოთვლილ ექსპერიმენტებში უარყოფით შეფასებებზე, ეს ნიშნავს, რომ იგი განეკუთვნება ადამიანთა იმ სამ პროცენტს, რომელიც დარწმუნებული არიან საკუთრ თავში და მათი ღირსების შელახვა საქმაოდ რთულია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი ღირსების გრძნობის ჩამოყალიბება შესაძლებელია, რაც ადამიანის ღირსების გრძნობის წახალისების შედეგად ხდება. იმისათვის, რომ არ იქნას შელახული საკუთარი ღირსების გრძნობა, არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც გასათვალისწინებელია ურთიერთობის დროს.

• ერთსულოვნება საკუთარ სინდისთან (თანხმობა სინდისთან).

ყველა ადამიანს აქვს მორალი, აკრძალვების და ნორმების სისტემა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მის საქციელს. ამ სისტემათა დაცვა ხელს უწყობს საკუთარი ღირსების გრძნობის განმტკიცებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ღირსების გრძნობა შელახულია. მაგ: ადამიანებს არ უყვართ შენიშვნების მოსმენა.

• გარემოს დადებითი რეაქცია “მე-ხატზე”.

ყველას გვაქვს გარკვეული წარმოდგენა საკუთარ თავზე, ანუ “მე-ხატი”, რომელიც ზოგჯერ არ ემთხვევა სხვათა მიერ წარმოდგენებს ჩვენს შესახებ. მაგ: ქალი ფიქრობს, რომ ის კვლავ ახალგაზრდა და ლამაზია, სინამდვილე კი საპირისპიროა.

• პიროვნების პატივისცემა.

თითოეულ ადამიანს ესაჭიროება საკუთარი პიროვნებისადმი პატივისცემა. მნელად თუ შევხვდებით ადამიანს, რომელიც შექების გარეშე შესძლებს წარმატებულ საქმიანობას.

• წარმატების ანუ მიღწეულის აღიარება.

ჩვენ გვჭირდება ადამიანი, ვინც სათანადოდ აფასებს ჩვენს მიღწევებსა და წარმატებებს. მათთან ურთიერთობა ყოველთვის სასურველი და საიამოვნოა.

## უშიშარი: გმირი თუ ფსიქოპათი?

თინა ასათიანი

ემოციები ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან და, ხშირად, გადამწყვეტ როლს თამაშობენ. დადებით ემოციას შეუძლია ძალა და ენერგია შეგვმატოს, ცხოვრება გაგვილამაზოს, უარყოფითი კი გგასუსტებს და გვანადგურებს.

შიში ადამიანების უმრავლესობისათვის არასასურველი და, ხშირად, სამარცხვინო ემოციაა. სხვადასხვა ადამიანებს მეტანკლებად ათასნაირი შიში აწუხებთ. გვეშინა სიკვდილის და ბედისწერის, ღია ან დაზურული სივრცის,

თაგვის ან ძალლის, სიმაღლის ან სიღრმის და სხვ. შიში, სულ ცოტა, დისკომფორტის განცდას გვიქმნის და ჩვენც, შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ მოვერიდოთ ისეთ სიტუაციას, რომელიც სახიფათოდ გვესახება. არადა, ამ ემოციას სრულიად გარკვეული და, თანაც, მნიშვნელოვანი ადაპტაციური ფუნქცია აქვს. მაგალითად, დაზიანების შიში გვიცავს იმისგან, რომ რაიმე არ დავიშავოთ, დასჯის შიში - რომ სხვას არაფერი დავუშავოთ და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ეს ემოცია, ერთის მხრივ, გენეტიკურადაა განპირობებული, ხოლო, მეორეს მხრივ, მისი დასწავლა საკმაოდ იოლია. ბავშვობიდან გვასწავლიან, თუ რას უნდა მოვერიდოთ, რა არის საშიში. ფსიქოლოგების მიერ ამ სფეროში ჩატარებული მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტებიდან ისიც ჩანს, რომ ძალიან ადვილად ხერხდება ამ ემოციის დაკავშირება ნეიტრალურ სტიმულთანაც (ანუ ისეთ გამღიზიანებელთან, რომელიც თავისთავად ხიფათთან არ არის დაკავშირებული). მაგალითად, ძალის შეშის ნაჭრის მას შემდეგ ეშინა, რაც შეშის ნაჭერი ფეხში მოხვდა და დაუზიანა; ბავშვს ეშინა სათამაშოსი, რომელიც შესაშინებელ ხმაურთანაა დაკავშირებული; მოზრდილს, შესაძლოა, ეშინოდეს ცხელი წყლის მას შემდეგ, რაც მდუღარე გადაისხა.

საინტერესოა, რომ ჩვენ ადვილად გვიჩნდება გველის ან მორიელის შიში, თუმცა, რატომღაც, ნაკლებად გვეშინა მანქანების, ელექტროობის ან ბომბის. იქნებ იმიტომ, რომ ეს სტიმულები ჩვენთვის ნეიტრალური არაა (ჩვენ მათი ინსტინქტურად გვეშინა).

ცნობილია, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ახერხებენ ამ ემოციის დაძლევას და ისეთებიც, რომელთაც ეს გრძნობა საერთოდ არ გააჩნიათ. საუბარი არც კამიკაძეებზეა და არც იმათზე, ვისაც სიკვდილის სურვილი აქვთ (ყოველ შემთხვევაში გაცნობიერებული), არამედ მათზე, რომელთაც აქვთ უნარი მშვიდად და ეფექტურად იმოქმედონ საშინელ, სტრუსულ სიტუაციაში, გაიარონ უფსკრულის პირას და გადარჩნენ. მათ აქვთ სრულიად ნორმალური ფსიქიკა (მაგალითად, მშვენივრად გრძნობენ ტკივილს), აღზრდა (ბავშვობაში მათ ასწავლიდნენ “სახიფათოს” მორიდებას), მაგრამ ისინი უშიშარ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ.

“ყოველ თაობაში არსებობს უშიშარი უტირესობა. სწორედ მათი რიგებიდან გამოდიან ჩვენი ასტრონავტები, ღირსების ორდენოსნები და გულადი ლიდერები”, - აღნიშნავს ამერიკელი ფსიქოლოგი დევიდ ლიკენი თავის სტატიაში

“უშიშრობა - მისი უზრუნველი ზიბლი და სასიკვდილო რისკი“.

ცხადია, რომ უშიშარი ადამიანები საზოგადოებას სჭირდება. მეორეს მხრივ, ცნობილია, რომ ბავშვს, რომელსაც შიშის დაბალი მაჩვენებელი აქვს, ისეთივე შანსი აქვს გახდეს გმირი, როგორც ის, რომ ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივად სახიფათო პიროვნებად, ფსიქოპათად. არსებობს მოსაზრება, რომ ეს ორი მიმართულება ერთი ტოტის ორი განშტოებაა. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ და რა გარემოში ხდება ასეთი ბავშვის აღზრდა, მისი ჩამოყალიბება.

ბავშვების აღზრდისას ჩვენ ხშირად ვიყენებთ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა დასჯა და შემინება (“არ აძვრე, თორემ მიიტყიპები”, “არ მიხვიდე ძაღლთან, თორემ გიკენს“). ეს ის ხერხებია, რომელიც ადვილია მშობლისათვის და, ხშირად, ქმედითიც. შიში და მისი თანმხლები სირცხვილისა და დანაშაულის განცდა მშობელს ბავშვის მართვისა და კონტროლის უადვილეს საშუალებად ესახება. მაგრამ სიყვარული და მისი თანმხლები ემპათიის (სხვისი გაება, თანაგრძნობა) უნარის ჩამოყალიბება, ბავშვში საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის განვითარება, არანაკლებ მძლავრი საშუალებებია.

სამწუხაროდ, უშიშარი ბავშვების მართვა გაცილებით უფრო რთულია, რადგან მათ მშობლების მიმართ უფრო ანტაგონისტური დამოკიდებულება აქვთ, ნაკლებად აწუხებთ სხვა ადამიანების რეაქციები, ნაკლებად აინტერესებთ, თუ რას იტყვიან მათზე სხვები. მიუხედავად ამისა, მათზე ისევე, როგორც სხვაზე მოქმედებს შექება და აღფრთოვანება. თუ ჩვენ ამგვარ საშუალებებს არ გამოვიყენებთ, უშიშარმა ბავშვმა აღფრთოვანება შეიძლება სრულიად მარტივად ქუჩაში მოიპოვოს და, რაც მთავარია, ჩვენთვის საკმაოდ არასასურველი ქცევისათვის.

შიშის, თუ უშიშრობის გარკვეული დონე ახასიათებს ნებისმიერ ჩვენთაგანს. გთავაზობთ სახალისო ტესტ-კითხვარს, რომლითაც შეგიძლიათ განსაზღვროთ თქვენი სიმამაცის დონე.

## ხართ თუ არა მამაცი ადამიანი?

ქვემოთ მოტანილია სიტუაციების 12 წყვილი. წარმოიდგინეთ თქვენი თავი თითოეულ მათგანში და აირჩიეთ ორიდან ერთი, რომელიც თქვენთვის უფრო მისაღებია. თქვენ გირჩევნიათ:

1.
  - a. წყალდიდობის შემდეგ ტალახით სავსე სახლის დასუფთავება.
  - b. პარაშუტით გადონხტომა.
2.
  - a. დიდი დრო მოანდომოთ სტუმრებისათვის ძვირფასი მწვადის დამზადებას, მათ კი ცოტა მიირთვან და, თანაც, მაინცდამაინც არ მოეწონოთ.
  - b. კარდაკარ სიარული 1000 ცალი ქვითრის დასარიგებლად.
3.
  - a. ნატკენი ფეხით სიარული მთელი დღის განმავლობაში.
  - b. ღია ცის ქვეშ კემპინგში დაძინება, როცა გაქვთ ინფორმაცია, რომ ამ ადგილებში გველები იცის.
4.
  - a. ბანკში ყოფნის დროს შემოცვივდნენ ნიღბიანი, შეიარაღებული კაცები და ყველას ხელები მაღლა აგაწევინეს.
  - b. თქვენთვის უინტერუსო კონცერტზე დასწრება, რომელიც 2 საათი გრძელდება.
5.
  - a. მთელი დღე საშინელი თავის ტკივილით და მაღალი ტემპერატურით ლოგინში წოლა.
  - b. წვეულებაზე ყოფნა. ერთ-ერთი სტუმართაგანი ყოველგვარი მორიდების გარეშე ისე შეგაწუხებთ გაუთავებელი საუბრით, რომ სახეზე დაგფოთლავთ და ხელები აგიკანკალდებათ.
6.
  - a. პილოტმა გამოაცხადოს, რომ თვითმფრინავის ძრავა დაზიანდა, საგანგებო მდგომარეობაა და უნდა დაეშვათ.
  - b. ერთი კვირის განმავლობაში მინდორში კარტოფილის თოხნა.
7.
  - a. იმის აღმოჩენა, რომ ხალხი თქვენზე ჭორაობს.
  - b. მთელი დღის განმავლობაში მცხუნვარე მზის ქვეშ მუშაობა.
8.
  - a. ერთი კვირის განმავლობაში ჭურჭლის მრეცხობა რესტორანში.
  - b. ტელევიზიით გამოსვლისას ენა გებმოდეთ და საცოდავად გამოიყურებოდეთ.
9.
  - a. ახალი ადამიანების გარემოცვაში იმყოფებოდეთ. ამბის მოყოლას ცდილობდეთ, მაგრამ ისინი არ გისმენდნენ.
  - b. დატოვოთ მანქანა ავტოსადგომზე. დაბრუნებისას აღმოაჩინოთ, რომ მანქანის კარი შეჭეშყილია.
10.
  - a. ცირკში იმყოფებოდეთ. ორმა ლომმა ცირკის არენიდან გამოაღწიოს.
  - b. მიხვიდეთ ცირკში და აღმოაჩინოთ, რომ ბილეთები სახლში დაგრჩენიათ.
11.
  - a. მანქანის რეცხვა.
  - b. მანქანის ტარება 140კმ/სთ სიჩქარით.
12.
  - a. მოვალისაგან ფულის მოთხოვნა.
  - b. ერთი ღამე იატაკზე დაძინება.

თუ თქვენს მიერ არჩეული 12 პასუხიდან 9-ზე მეტი ემთხვევა ქვემოთ მოყვანილ ვარიანტს, თქვენ მამაცი ადამიანი ყოფილხართ.

1 ბ, 2 ა, 3 ბ, 4 ა, 5 ბ, 6 ა, 7 ა, 8 ბ, 9 ა, 10 ა, 11 ბ, 12 ა.

## არაძალადობისთვის წამებულნი

# ბაპუ — ადამიანი - იდეა

დეა ლადუა

სამოსი - თეთრი, ტანი - მომცრო და გამხდარი, სახე... სახე - მრგვალი სათვალეებიდან მომზირალი თვალები, მზერა - სითბოჩამდგარი, და კიდევ ღიმილი, უძირო, უსაზღვრო, ძლიერი სულის ყოვლისმომცველი მიმტევებლობა, მხოლოდ ძლიერი სულის... მისი სახელი - მაჲათმა განდი, ადამიანი, რომელმაც ძლიერი ნებითა და არაძალადობრივი დაუმორჩილებლობით ინდოეთს ნანატრი თავისუფლება მოუტანა.

მაჲათმა განდი შსოფლიო ისტორიაში მოიაზრება, როგორც ერთგვარი სიმბოლო პრობლემის მშვიდობიანი, არაძალადობრივი გადაწყვეტისა. ინდოეთის კულტურის, ფილოსოფიისა და რელიგიის ფესვებიდან ნასაზრდოები ჰარმონია ბაპუს (მამა, ასე უწოდეს თანამემამულეებმა განდის) ცხოვრებასა და მის მიერ განვლილ გზაში განხორციელდა. გზა - როული, ეკლიანი, წინააღმდეგობებით აღსავსე, მაგრამ - მონობიდან თავისუფლებისაკენ, და, რაც მთავარია, უსისხლო. ბაპუს ერმა სული მიანდო... და მაინც, ვინ იყო იგი?

მაჲათმა კარამჩანდ განდი 1869 წელს დაიბადა. მამა - მცირე განათლებით, დედა - ღრმად რელიგიური. მაჲათმა აღმერთებდა დედას, უყვარდა მამა, თუმცა ცოტათი ეშინოდა კიდეც მისი. ის მეექვსე, ნაბოლარა შვილი იყო, ბუნებით მორცხვი და მორიდებული.

შვიდი წლის მაჲათმა კერძო სკოლაში შეჰყავთ და იწყება მისი ზიარება ცოდნასთან. იგი ნიჭიერი მოსწავლეა და სასწავლებელს წარმატებით ამთავრებს.

მაჲათმა არ არის ბავშვი, რომელიც მუდამ და მხოლოდ იმას აკეთებს, რასაც მისგან მოითხოვნ, ის უბრალოდ ჭკვიანი ადამიანია და ცხოვრებას ხშირად სხვის და, ზოგჯერ, საკუთარ შეცდომებზეც სწავლობს. ასე მოხდა მაშინაც, როდესაც მან ოქროს ნაჭერი მოიპარა... იმისათვის, რათა უფროსი ძმის ვალი გაესტუმრებინა. ვალი გაისტუმრა, მაგრამ დანაშაულის გრძნობა დარჩა. და ამიტომ იღებს ქაღალდს, წერს აღ-

სარებას და მიაქვს მამასთან. მამა კითხულობს, ღრმად ოხრავს და ანაკუწებს ფურცელს. მაჲათმამ საკუთარ თავს შეჰყავცა, რომ აღარასდროს, არანაირი მიზეზით აღარ მოიპარავდა, და... კიდევ უფრო შეუყვარდა მამა.

ცამეტი წლის მაჲათმას ცამეტი წლის კასტურბაი მოჰყავს ცოლად, ცდილობს ამეცადინოს, მაგრამ კასტურბაი სწავლას გულს ვერ უდებს, მას ხელსაქმე უფრო აინტერესებს და პატარა დიასახლისის როლი სრულიად აკმაყოფილებს.

სწავლის გაგრძელება ინგლისში გადაწყვიტა მაჲათმამ, მაგრამ დედას, ორთოდოქსული აზროვნების ადამიანს, უჭირს შვილის ევროპაში გაგზავნა და მასთან დიდი ხნით განშორება, ყოველივე ამას ემატება უსახსრობა. და მაჲათმა დებს პირობას, რომ არ შეჭამს ხორცს, არ დალევს სასმელს, არ მიეკარება ქალს... დედა თანახმა გაუშვას შვილი.

დასაწყისში ინგლისმა და ევროპული ცხოვრების სტილმა სრულიად მონუსხა განდი. მისი სამოსი ევროპული ყაიდისაა, ცდილობს აითვისოს დასავლეთისათვის დამახასიათებელი მანერები, ქცევები; სწავლობს ფრანგულ ენას, ვიოლინოზე დაკვრას, იღებს ცეკვის გაკვეთილებს... თუმც, ეპრობით გატაცება მხოლოდ სამი თვე გაგრძელდა, მერე იყო ჩაღრმავება ინდურ ფილოსოფიაში, ინდუსურ რელიგიაში, გატაცებით კითხულობს ბჟაგავატ გიტას და... ბიბლიას. მისი პიროვნება მდიდრდება ცოდნით, გამოცდილებით, იდეებით, ყოვლისმომცველი სათნოებით.

1891 წელს მაჲათმა ინდოეთში ადვოკატის სტატუსით ბრუნდება და მალე სამხრეთ აფრიკაში მიემგზავრება სამუშაოდ.

პირველი პროტესტი - სასამართლოში ჩაღმის მოხდას მოსთხოვენ, ინდუსისთვის მსგავსი მოთხოვნა მიუღებელია. იგი შეურაცხყოფილი ტოვებს სასამართლო შენობას. საკუთარ უარყოფით დამოკიდებულებას მსგავსი წესების არსებობის გამო არც პრესას უმაღავს.

პირველი დამცირება - მას არა აქვს თეთრი კანი და, აქედან გამომდინარე, არც მატარებელში პირველი კლასის ვაგონით მგზავრობის უფლება. მის კუთვნილ ადგილს თეთრკანიანი ინგლისელი ჩემულობს, განდი არ უთმობს და მაშინ, ინგლისელი პოლიციელის მეშვეობით მატარებლიდან ჩამოსვამს მაპათმას... სადგურში გატარებული ღამე, ფიქრები, უსამართლობით შეძრწუნებული მაპათმა, უზარმაზარი, ჩაგუბებული პროტესტის გრძნობა და კიდევ რწმენა, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეს იგი იბრძოლებს უსამართლობის წინააღმდეგ, იბრძოლებს, მაგრამ ძალადობის გარეშე.

განდის პირველება, ბუნება, აზროვნების სტილი, ძალადობის სასტიკი წინააღმდეგია. არაძალადობა მისი შინაგანი მოთხოვნილებაა და არა თავსმოხვეული, განყენებული იდეა. "თვალი თვალის წილ მთელს სამყაროს დააბრმავებს" - ეტყვის ის ერთხელ თავის თანამოაზრებს. ბაპუ არ არის დაბრმავებული, რამეთუ უცხოა მისთვის შურისძიების გრძნობა, ის თვალხილული, ღრმა მორალურ პრინციპებზე დაყრდნობით ცდილობს კუთვნილი უფლებების დაცვას. განდის მრწამსი: არ გამოიყენოს ძალადობა მაშინაც კი, როდესაც მოწინააღმდეგებ მხარე მიმართავს ასეთ ქმედებას. გამარჯვება ნებისმიერი საშუალებით - დამარცხების ტოლფასია.

და იწყება მაპათმა განდის სამოქალაქო მოღვაწეობა სამხრეთ აფრიკაში. იქ მცხოვრებ ინდოელთა სამოქალაქო უფლებები მუდმივად იღლახება, განდი მათი მფარველი და დამცველია. ხშირია გამარჯვება, მისკენ სავალი გზა - მტკიცნებული. ბრძოლა ბრძოლაა, თუდნდაც არაძალადობრივი, და მასში ჩაბმა, სხვა მრავალთან ერთად, უამრავი მტერ-მოყვარის გაჩენასაც გულისხმობს. თუმც მაპათმა მტრად არავის აღიქვამს, არსებობენ მხოლოდ მოწინააღმდეგენი, მართალია ისინი ზოგჯერ ფიზიკურ შეურაცხოფასაც არ თაკილობენ, განდი მათაც პატიობს, არ იცოდნენ სიმართლე და როცა შეიტყობენ, უცილობლად შერცხვებათო - ამართლებს.

სწორედ სამხრეთ აფრიკაში გადაიდგა არაძალადობრივი დაუმორჩილებლობის პირველი ნაბიჯები. მაინც რას წარმოადგენს არაძალადობრივი დაუმორჩილებლობა (satyagraha) ბაპუს

აზრით?

"არაძალადობა - ეს გაცნობიერებული ტანჯვაა. ეს არ ნიშნავს უბრალოდ ბოროტი ძალისადმი დამორჩილებას, არამედ - სულიერ ბრძოლას ტირანის ნების წინააღმდეგ. არაძლადობრივი დაუმორჩილებლობა საშუალებას აძლევს ცალკეულ პიროვნებებს წინააღმდეგობა გაუწიონ უსამართლობას, რათა დაიცვან საკუთარი ღირსება, სული, რელიგია და საფუძველი ჩაუყარონ უსამართლო იმპერიის ნერგვას."

სამხრეთ აფრიკაში მცხოვრებ ინდოელებს მაპათმამ მშვიდი და არაძალადობრივი წინააღმდეგობის სული ჩაპბერა. ამ მოძრაობამ მათი უფლებაშელახული ცხოვრება ღირსეული გახადა.

განდი გრძნობს, რომ მისი მისია სამხრეთ აფრიკაში ამოწურულია და ინდოეთში ბრუნდება.

მაპათმა მთელი წელიწადი მოგზაურობს და მის თვალწინ იშლება ინდოეთი... განდის დამონებული სამშობლო, ინგლისის კოლონია - შემაძრწუნებელი სიღატაკით, ჭუჭყიანი ქუჩებით, უამრავი მათხოვარითა და გაუბედურებული ადამიანებით...

ინდოეთი - მე-შეგნებადაკარგული ქვეყანა, მაპათმას გაუნელებელი ტკივილია.

და კვლავ "satyagraha", ბრძოლა ერთადერთი მიზნისათვის - გაათავისუფლოს ქვეყანა ინგლისის მარწუხებისაგან.



არსებობს დიდი ძალა, რომელსაც ხალხის ნება ჰქვია – ბრიტანეთის იმპერიამ უნდა დატოვოს ინდოეთი – გადაწყვეტილება მტკიცება ურყევი, ქმედება – არაძალადობრივი.

და ცეცხლში იწვის ბრიტანული ტანისამოსი, ხალხი ინდოეთში ინდოელის ხელით შექმნილ სამოსს მიეძალა. თითქოს ამ ცეცხლში იწრთობა ერის სული, ერისა, რომელმაც საკუთარი დააფასა, საკუთარს მიუბრუნდა სამოსს - დამფარავს სიშიშვლის და უსუსურობისა...

შემდგომ ინდოეთი გაიფიცება. ერთი დღით წყდება მოძრაობა, ირლეგა ყოველდღიური ერთფეროვნების ჯაჭვი... დღე ულრუბლო, მზიანი, შეჩერებული კადრივით გრძელი, სუნთქვაშეკრული და მომლოდინე ინდოეთი, გარე სამყაროს-გან სულ რამდენიმე საათით გათიშული... დღე, როდესაც ინგლისელებმა პირველად იგზნეს თავი სტუმრად.

მაკათმა პეშვი მარილით ხელში. მან ორა-სი კილომეტრი განვლო ფეხით, რათა ზღვიდან ერთი პეშვი ინდოეთის კუთვნილი და ბრიტანეთის მიერ მითვისებული მარილი ამოედო. ეს იყო სიმბოლო კუთვნილის დაბრუნებისა, ახალი ცხოვრების დასაწყისისა. მარილი ხომ თავისთავად უკვე სიმბოლოა ყოველივე კეთილის, მისი მოპოვება – განახლების.

რაც უფრო ძლიერდება "satyagraha", მით უფრო მწვავეა იმპერიის რეაქცია მასზე. ინდოეთი არაძალადობრივი დაუმორჩილებლობით პასუხობს ბრიტანეთის მიერ თავსდატეხილ უბედურებას, შეურაცხყოფას, უიარაღო ხალხის ხოცვა-ულეტვას, მხოლოდ არაძალადობრივი დაუმორჩილებლობით, თუმც იცის საკუთარი სიძლიერე და მისი ფასი. ბაპუ კი ასე მოძღვრავს ერს:

"თუკი არჩევანი ძალადობასა ან სიმხ-დალეზე მიღება, მე ძალადობას ვირჩევ. სჯობს ინდოეთმა იარაღი გამოიყენოს, ვიდრე გახდეს უსუსური მოწმე საკუთარი დამცირებისა, მაგრამ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არაძალადობრივი ქმედება უსაზღვროდ აღემატება ძალადობას. მიტევება უფრო ადამიანურია, ვიღრე სამაგიეროს მიზღვევა. თუმც პატიებას მაშინ აქვს ფასი, როდესაც გაქვს ძალა დასჯისა და მას არ იყენებ. პატიება კარგავს ძალას, თუკი


ის უსუსური არსებისაგან მომდინარეობს."

იმპერია დაბნეულია, მან არ იცის თუ როგორ შეებრძოლოს მტერს, თუკი ეს უკანასკნელი ძალადობას არ მიმართავს... და ბრიტანეთი ტოვებს ინდოეთს.

"მე გამყავით ორად, ოღონდაც ინდოეთს ნუ გაყოფთ" - ამბობს განდი, მაგრამ ინდოეთს მაინც გამოეყოფა პაკისტანი.

გაყოფა მტკივნეული პროცესია და ბაპუ ცდილობს არ დაუშვას სისხლისღვრა, კარდაკარ დადის და შერიგებას თხოვს მხარეებს, შიმშილობს, ლოცულობს...

სამოსი - თეთრი, ტანი – მომცრო და გამხდარი, სახე... თვალები... ტკივილი... განდი მოკლეს, ფანატიკოსმა ინდუსმა განდი სიცოცხლეს გამოასალმა. . . მაგრამ განდი გასცდა პიროვნების ჩარჩოებს და იქცა იდეად, რომელზეც მარტინ ლუთერ კინგმა თქვა: "განდი ცხოვრობდა, ფიქრობდა და მოქმედებდა მშვიდობიან და პარმონიზებულ კაცობრიობაზე თცნებით შთაგონებული და თუკი კაცობრიობას განვითარება უწერია, მაშინ განდი გარდაუვალია (იგულისხმება განდი - იდეა. დ. ლ.)".



## მესამე, ნეიტრალური მხარის მონაწილეობა კონფლიქტების მოგვარების პროცესში

ლია (ხათუნა) სანიკიძე

ქვეყანაში არსებული დღევანდელი სიტუაციის თუნდაც ზოგადი ანალიზი ცხადყოფს, რომ არსებობს აუცილებლობა საქართველოში დაინერგოს კონფლიქტების მოგვარების აღტერნატიული მეთოდები, ანუ არსებული კონფლიქტების მოგვარება ხდებოდეს არა მხოლოდ სამართლებრივი გზით (პოლიცია, სასამართლო, სხვა ოფიციალური სტრუქტურები), არამედ მესამე, ნეიტრალური მხარის მონაწილეობით.

კონფლიქტების მოგვარების აღტერნატიული მეთოდები, ანუ მესამე ნეიტრალური მხარის მონაწილეობა კონფლიქტების მოგვარებისას შესაძლებლობას იძლევა კონფლიქტის მონაწილე მხარეები მივიღნენ კონსტრუქციულ გადაწყვეტილებამდე, შესძლონ მართონ კონკრეტულ სიტუაცია და, აგრეთვე, თავიდან აიცილონ მომავალში შესაძლო პრობლემური სიტუაციები. საქართველოში ამ ტიპის სამსახურის შექმნის და განვითარების აუცილებლობა და საჭიროება განსაკუთრებით ბოლო ათწლეულის განმავლობაში გამოვლინდა. სპეციალისტების ვიწრო წრის ინტერესი, ცოდნა და გამოცდილება ამ სფეროში სასურველია ცნობილი გახდეს ფართო საზოგადოებისათვის იმ რეალური სიტუაციის გამო, რაც დღესდღეობით არსებობს ქვეყანაში. საქართველოში მიმდინარე რეფორმები, გააქტიურებული საზოგადოებრივი ცხოვრება (მესამე სექტორის ჩამოყალიბება), მძიმე ეკონომიკური ვითარება ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიან მრავალფეროვანი კონფლიქტებისათვის. უამრავი პრობლემების წყაროა ჯერაც გადაწყვეტილი პოლიტიკური და ეთნიკური კონფლიქტები. ამ არებიდან წამოსული იძულებით გადადგილებული ადამიანები გადატანილი შეიარაღებული კონფლიქტის თუ მშობლიური მხარის დატოვების გამო მძიმე სტრესის ქვეშ არიან მოქცეული (შესაბამისად, უფრო ადვილად შეიძლება მოხვდნენ პრობლემურ სიტუაციებში). მათი ეხლანდელი საცხოვრებელი გარემო (დევნილის სტატუსი, ხშირად მოუწყობელი ცხოვრება, გაურკვეველი მომავალი, ფიქრი იმაზე, თუ როგორ უნდა ააწყონ ურთიერთობები უკან დაბრუნების შემდეგ) კიდევ უფრო მეტად განაპირობებს რეალური კონფლიქტების წარმოქმნის შესაძლებლობას.

კონფლიქტების მოგვარების აღტერნატიული მეთოდების დანერგვა და გამოყენება

გულისხმობს ზოგად ანალიტიკურ მიდგომას. მისი საზოგადოებაში დანერგვა საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. კონფლიქტების მოგვარება თავისთავად ანალიტიკური და პრობლემების გადაწყვეტის გრძელვადიანი ცვლილებების მომცველი პროცესია. იგი მოქმედებს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ სისტემებზე. ამ ფართო ზეგავლენის მიზეზი არის ის, რომ აღნიშნული პროცესი ითვალისწინებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ მოთხოვნილებებს, მათ იდენტიტებას და აღიარებას, აგრეთვე ინსტიტუციონალურ ცვლილებებს, რომელიც აუცილებელია ამ მოთხოვნილებების დასაქმაყოფილებლად. პრობლემების გადაწყვეტისაკენ მიმართული კონფლიქტების მოგვარების მეთოდები წარმოადგენს ფუნქციონალურ სისტემას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრს საშუალებას აძლევს თანაიარსებონ ჰარმონიულად, შესძლონ მოაგვარონ ურთიერთობები ერთმანეთთან და გარემოსთან, აითვისონ ამისათვის შესაბამისი და დამხმარე გზები.

აღტერნატიული მეთოდებით კონფლიქტების მოგვარების სამსახურის ინსტიტუციონალიზაცია ხელს შეუწყობს კონფლიქტებში ჩართულ სხვადასხვა მხარეებს გაერთიანდნენ ერთიან სისტემაში, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთნდობაზე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებაზე და ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებებზე. მესამე, ნეიტრალური მხარის როლი ამ შემთხვევაში განაპირობებს კონფლიქტში ჩართული სხვადასხვა მხარეების ინტერესების გამომჟღავნებასა და შეჯერებას. მესამე, ნეიტრალური მხარე წინასწარ აკეთებს დაშვებას, რომ მხარეები თავისთავად ფლობენ მნიშვნელოვან ინფორმაციას კონფლიქტის შინაგანი არსის შესახებ და დიდი შანსი აქვთ თვითონვე მიაგნონ იმ შესაძლებლობებს, რომელიც საუკეთესო გადაწყვეტილებამდე მიიყვანს მათ. მესამე ნეიტრალური მხარე იმგვარად წარმართავს კონფლიქტებში ჩართული მხარეების შეხვედრის პროცესს, რომ ხელს უწყობს მათ კომუნიკაციას და ისეთი შესაძლებლობების მოძიებას, რომელსაც ადრე ვერც კი აფასებდნენ.

“ეძიებს რა პრობლემების წარმოქმნელ წყაროს, კონფლიქტების მოგვარების საბოლოო მიზანია არა მხოლოდ გადაწყვეტოს ამ წუთში არსებული სოციალური, ოჯახური ან ეთნიკუ-

რი კონფლიქტი (დავა), არამედ, ასევე ჩასწოდეს პრობლემის ძირეულ ბუნებას და ამით ხელი შეუწყოს წარმომქმნელი წყაროს ზეგავლენის შესუსტებას და აიცილოს მისი სხვაგვრი გამოვლენის შესაძლებლობა.“ (ბარტონი) კონფლიქტების მოგვარების აღტერნატიული მეთოდების, ანუ მესამე, ნეიტრალური მხარის ჩართვის ინსტიტუციონალიზაცია ჩვენს ქვეყანაში სტაბილური გარემოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტის შექმნის, რადგან კონფლიქტების მოგვარების პროცესი პოზიტიური გაგებით ქმნის სოციალურ კონტროლს, რომელიც თავის მხრივ განაპირობებს უკონფლიქტო ურთიერთობებს და ეს სოციუმის ყველა დონეზე განივრცობა.

ცხადია, ამ სამსახურის ინსტიტუციონალიზაცია და შესაბამისი ცოდნის გავრცელება ხანგრძლივ და რთულ პროცესს წარმოადგენს. საჭიროა საზოგადოების გათვითცნობიერება ამ საკითხებთან დაკავშირებით, სფეროს ლეგიტიმიზაცია. მხოლოდ ამ პროცესის შემდგომ შესძლებს საზოგადოება მესამე, ნეიტრალური მხარის საქმიანობის, როგორც ჩვეულებრივი, საჭირო, დამხმარე სამსახურის გააზრებას.

დღესდღობით ამ მიმართულებით საქართველოში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს (დაფინანსება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოდის). ქვეყნისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მოძიებულიერების ძალი, ორგანიზაციები და მხარდაჭერნი, რომლებიც ხელს შეუწყობენ კონფლიქტების მოგვარების მეთოდების სწავლებას, კვლევასა და ადაპტირებას. ეს წარმოადგენს ეროვნული ინტერესებისადმი ახლებურ მიღდომას, რომელიც საერთო მშვიდობიანი გარემოს შექმნის მოთხოვნილებას ეფუძნება.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევით ცენტრში შეისწავლება და გამოიკვლევა კონფლიქტების ზოგადი თეორიები და მისი პრაქტიკული გამოყენების სხვადასხვა მეთოდები. ამავე დროს, მიმდინარეობს ქვეყნის ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის და კონფლიქტების მოგვარების მეთოდების შესწავლა, რათა შეიქმნას კარგი თეორიული ბაზა, მოძიებულ იქნას შესაფერისი პრაქტიკული სტრატეგია და ტექნიკა, მოხდეს მეთოდების ადაპტირება ქართულ რეალობასთან. კონფლიქტების მოგვარების სწავლების პროგრამა საქართველოში, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს ცენტრში, ატარებს ტრენინგებს და სამუშაო შესვედრებს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან - იძულებით გადაადგილებულ პირებთან, ახალგაზრდა ორგანიზაციების ლიდერებთან, პოლიციელებთან, უურნალისტებთან, სამთავრობო ორგანიზაციების აპარატის თანამშრომლებთან, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან და სხვ. ამ ტიპის საქმიანობა ორ მიზანს ემსახურება: გავრცელდეს ცოდნა კონფლიქტების მოგვარების აღტერნატიულ მეთოდებზე და მოხდეს მესამე, ნეიტრალური მხარის მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება. ტრენინგის დროს ადამიანები საკუთარი გამოცდილებით ეცნობიან ამ ტიპის მონაწილეობის დადებით შედეგებს, იძნენ როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე კონკრეტულ უნარ-ჩევევებს. შედეგად, მათ უადვილდებათ კონფლიქტური და პრობლემური სიტუაციების დაძლევა. ამავე პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო ტრენინგების ჩატარება კონფლიქტების მოგვარების სფეროში და მესამე, ნეიტრალური მხარის წარმომადგენლების (ფასილიტატორების) მომზადება.

## კრიმინალური კრინიკა

1998 წლის 22-26 ოქტომბერს ქალაქ ფოთში “საქართველოში კონფლიქტების მოგვარების სწავლების” ტრენინგ-სემინარი შედგა. ამ შესანიშნავ ქალაქში ჩვენი პროგრამის ტრენინგ-სემინარი შარშან ოქტომბერშიც ჩატარდა, თუმცა, მაშინ მონაწილეთა რაოდენობაც ნაკლები იყო და დამოკიდებულებაც უფრო ფრთხილი. ამის მიზეზი, შესაძლოა, ზოგადად მწირი ინფორმაცია და მეთოდის სიახლე იყო.

ტრენინგ-სემინარი მიმდინარეობდა სოხუ-

მის ი. ვეკუას სახელობის ინსტიტუტის შენობაში. ორგანიზებაში დიდი დახმარება გაგვიწია ამ ინსტიტუტის რექტორმა, ბ-მა რამინ აბლოთიაძე. მონაწილეობა შორის ძირითადად ამავე ინსტიტუტის იურიდიული და უცხო ენგბის ფაკულტეტების სტუდენტები იყვნენ.

ამჯერად, ტრენინგში მონაწილეობის სურვილი გამოიქვეს არა მხოლოდ სტუდენტებმა, არამედ პროფესორ-მასტერებულებმაც. თუმცა ჩვენ, ტრენინგის სპეციფიკიდან გამომდინარე,

მოგვიწია მონაწილეთა რაოდენობის შეზღუდვა და, საბოლოოდ, ტრენინგში მონაწილეობა 29 ადამიანმა მიიღო - ძირითადად ლტოლვილებმა აფხაზეთიდან და ოსეთიდან. 27-მა მონაწილემ, მათ, ვინც განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა და აქტიურად იმუშავა სამი დღის განმავლობაში, სერთიფიკატი მიიღო - მოწმობა ამ სემინარის წარმატებით გავლის შესახებ.

ტრენინგ-სემინარმა, როგორც უკვე აღინიშნა, დიდი ინტერესი გამოიწვია ინსტიტუტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის. ამის მიზეზი იყო, ერთის მხრივ, თემის აქტუალობა და მეორეს მხრივ, შეთავაზებული სასწავლო პროცესის სპეციფიკა. საზოგადოდ ტრენინგული სწავლება გარკვეულწილად უჩვეულოა (არატრადიციულია) და, თანაც, ეფექტური და სახალისო.

უაღრესად საინტერესო იყო ჩვენი შეხვედრა გასული წლის ტრენინგ-სემინარის მონაწილეებთან. შეიტყვეს რა ჩვენი ჩამოსვლის შესახებ, ისინი მოვიდნენ, გამოთქვეს ტრენინგში მონაწილეობის სურვილი, და, რაც მთავარია, გაგვიზიარეს თავისი აზრი და გამოცდილება. ისინი გვესაუბრნენ იმ კონკრეტულ ცვლილებებზე რაც მათში მოახდინა ჩვენმა ერთობლივმა მუშაობამ 1997 წლის შემოდგომაზე.

ტრენინგის მონაწილენი უდიდესი ინტერესითა და მონდომებით მუშაობდნენ. უკუკავშირის დროს მათ აღნიშნეს, თუ რაოდენ საინტერესო და საჭირო იყო მათვის ამგვარი სწავლება, როგორც პიროვნული, ასევე საზოგადოებრივი თვალსაზრისით და ამგვარ ტრენინგებში შემდგომი მონაწილეობის დიდი სურვილი გამოთქვეს.

\* \* \*

16-დან 21 ნოემბრამდე თბილისში ჩატარდა მორიგი ტრენინგ-სემინარი. მონაწილენი - აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდობა. ტრენინგის ბოლო დღეს ჩვენთან მოვიდა ერთ-ერთი მონაწილე და წერილი გადმოგვცა. ვფიქრობთ, ეს წერილი უფრო მრავლისმეტყველია, ვიდრე ჩვენივე მონათხრობი მონაწილეთა შთაბეჭდილებების შესახებ.

“პირველ რიგში, მსურს მადლობა გადაგიხადოთ იმ შესანიშნავი საქმიანობისათვის, რომელსაც ეწევით დღეს საქართველოში. დიდი მადლობა იმ ხუთი დღისათვის, რომელმაც ჩვენ, ახალგაზრდებს, მოგვცა იმდენი, რამდენსაც ვერცერთი ჩვენთაგანი წლების მანძილზე ვერ

მიიღებდა. პირადად მე, ძალიან ნასიამოვნები და კმაყოფილი ვარ, რადგან გავმდიდრდი ცოდნით, ურთიერთობით, ნაცნობებით, ამ სიმდიდრეს, კი, ვერანაირი ფულით ვერ შევიძნდი.

რაში დამეხმარა შეძენილი ცოდნა?

დავიწყებ იმით, რომ თქვენთან შემთხვევით არ მოვსულვარ, და აი რატომ: სკოლას როცა ვამთავრებდი, ძალიან მიჰირდა ადამიანებთან კონტაქტში შესვლა, მზღვდავდა საკუთარი სტერეოტიპები. ამ გარემოებამ მაიძულა საკუთარ თავზე მეუშავა, დაგვირვებოდი სხვათა ქცევებსა და სასიათს, ვკითხულობდი უამრავ ლიტერატურას ამ თემასთან დაკავშირებით....

... ჩემთვის ორმაგად საინტერესო იყო თქვენთან მოსვლა - მინდოდა ჩემი ცოდნა და გამოცდილება შემედარებინა იმ ინფორმაციისათვის, რომელიც უნდა მიმეღო თქვენთან. შედეგი მოსალოდნელზე უფრო დიდი, მასშტაბური აღმოჩნდა.

თქვენ ჩემი ცოდნა უფრო გააღრმავეთ, მომეცით შესაძლებლობა გარედან დამენახა საკუთარი თავი, ფსიქოლოგიურად დამამშვიდეთ და მხარში ამომიდექით, გამიფართოვეთ სამყაროს აღქმის სპექტრი, ყველა დადგებით ემოციას სიტყვებით ვერ გამოვთქვამ. შემიძლია დაუსრულებლად ვისაუბრო, მაგრამ მაინც ვერ გამოვხატავ მადლიერების გრძნობას.

ულრმესი მადლობა!

P. S. ნუ დაივიწყებთ სოხუმელ გოგო-ბიჭებს, რომელთაც საკუთარ თავში გააცოცხლეს ადამიანი და, აქედან გამომდინარე, ისევ უყვართ, სწავლა, განიცდიან. მჯერა, რომ ჩვენმა ჯგუფმა თავი კარგი კუთხით წარმოაჩინა. არა აქვს მნიშვნელობა ამ დღეებში გახდა თუ არა ყველა პროფესიონი, მთავარია, რომ ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ნოემბრის ერთმა კვირამ (აღმართ, ეს იყო ჩვენთვის ყველაზე თბილი ნოემბრი ბოლო წლების განმავლობაში). თქვენგან მივიღეთ სიყვარული - უსიყვარულოდ სიკეთეც მახინჯია. თქვენ მე მეგობრები მაჩუქროთ, მე კი, ჩემი მხრივ - კეთილი პიკასო.

პატივისცემით ოთარ ფანცულაია - “პიკასო”

## ადამიანური ურთიერთობების მოკლე კურსი

ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვა:  
”მინდა ვალიარო, რომ შეცდომა დავუშვი”

ოთხი ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვა:  
“რა კარგად გაგიკეთებიათ საქმე”

სამი ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვა:  
“როგორია თქვენი აზრი?”

ორი ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვა:  
“თუ შეგიძლიათ”

ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვა:  
“გმადლობ”

ბოლო მნიშვნელოვანი სიტყვა:  
“მე”

## **პროგრამაში მუშაობენ:**

**გილობრივი სამუშაოები** - პროფესორი, ფილოსოფის მეცნიერებათა დოქტორი, კონფლიქტებისა და მოღაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დამაარსებელი და დოკუმენტორი, პროგრამის ხელმძღვანელი.

**გაგა ნიშანამა** - ფსიქოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქოლოგიური მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი

**დალი ბერებაშვილი** - ფსიქოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქოლოგიური მონიტორინგის ჯგუფის წევრი

**თინა ასათიანი** - სოციალური ფსიქოლოგი, ფასილიტატორი, ფასილიტატორთა ჯგუფის ხელმძღვანელი.

**მაია რაზმამა** - სოციალური ფსიქოლოგი, ფასილიტატორი.

**ლია (ხათუნა) სანიკიმა** - სოციალური ფსიქოლოგი, ფასილიტატორი

**მანანა დარჯანია** - სარედაქციო ჯგუფის ხელმძღვანელი, ჟურნალისტი

**ლეა ლადუა** - რედაქტორი, ფილოლოგი

**არჩილ სილვაშვილი** - კომპიუტერული უზრუნველყოფა